# ახალი სხივი

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შაბათი, 13 თებერვალი 1910 წ. № 9

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ· სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქვიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 35 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 35

კვირას, 14 თებერვალს 1910 წ.

ბენეფისი ტასო აბაშიძისა.

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: პირველად ახალი პიესა ბ. შირვან-ზადესი

I.

**ნამუსისათვის**

დრამა 4 მოქ. თარგ. კ—ნისა.

II.

**გულმა იგრძნო**

ვოდ. 1 მოქმედებათ თარგ. მ. საფაროვა—აბაშიძისა.

**არტისტნი:** ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი.—ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქიქიძე, შ. საფაროვი.

ადგ. ფასები: ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

18 თებერვალს, ბენეფისი ი. ზარდალიშვილისა წარმ. იქ. «დანაშაული და სასჯელი“ დოსტოევსკისა,

მზადდება წარმოსადგენათ: „შავი ბერი“, „ხალხის სიკეთე“, სიკვდილი ნაპოლეონისა. „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

რეჟისორი: ვლ. ალ.-მესხიშვილი. რეჟ. თანაშემწე: გ. ურუშაძე.

ს ა ხ ა ლ ხ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.

კვირას, 14 თებერვალს

ნ. ე. ერმოლაევი წაიკითხავს ლექციას:

**პოლიტიკურ ეკონომიაზე**

ლექციის შემდეგ გაიმართება

**კონცერტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გავრიშევა, სოლოდიანი, დავიდოვისა. ბ-ნი: ვართანოვი, გოფმანი და ჩაროვი.

ძმები პალცევები დაუკრავენ სკრიპკაზე

დასაწყისი დილის 11 საათზე· აკომპანიმენტი მ. ფ. ზეიცი.

ბილეთების ფასები 5 კაპ. და 10 კაპ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე თედო დოლიძესთან და აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოში: «სპორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი“ ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი“ ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების“ დეპოში ნ. ისტეროვთან, ქართველთა ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში“ ალლაძთან, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილთან, „შრომის“ სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან.

**ქართული თეატრი**

„ჯეჯილის“ საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I

**„მდგმური“**

„ჯეჯილიდან“

II

**ქილოვის იგავ-არაკნი**

წაიკითხვენ გრიმებსა და ტანისამოსებში

III

**მუსიკალური**

განყოფილება.

IV

**ცოცხალი სურათი**

დ ა ს ა ს რ უ ლ

**მილოცვა**

„ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის სახსოვრათ.

დასაწყისი სწორეთ დილას 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში:

დილის გამგე ეკ. მესხისა რეჟისორი ნ. გვარაძე.

კბილის ექიმი

**როსაიშვილი—დგებუაძისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

**ს. ვაშაყმაძე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერი დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

დღესასწაულ-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 1 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 13 თებერ. 1910 წ.

ქართული სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

**კოცნა პირველი და უკანასკნელი**

ფსიხოლოგიური ეტიუდი 1 მოქ. თარგ. ს. ტარიაშვილისა.

II

**უბედური დღე**

ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა.

III

**დატრიალდა ჯარა**

ვოდ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

IV

**საკონცერტო განყოფილება**

ადგილების ფასი 5 კ. 25 კ·დე·

დასაწყისი სალ. 8 საათზე.

ადმინისტრატორი კოსინკოვი

ფ ე რ შ ა ლ ი

**ლეონტი ზარკალაია**

ცრისყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული სენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის

ადრესი: გოგოლის ქუჩა, № 68.

**თფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.
**გურკო ბ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ზ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. $2$—$2^1/_2$ ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. $2$—$2^1/_2$ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—81)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შედავათიანი საფასურით.

**ვოგზლის კერძო სამკურნალო**

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს $2$—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—82)


## თფილისი, 13 თებერვალი.

საფრანგეთის სენატის და პალატის წევრებმა-სენატორებმა და დეპუტატებმა ამ თვის პირველ რიცხვებში სამაგიერო ვიზიტი გადაუხადეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს და დუმის წევრებს, რომლებიც შარშან ზაფხულში იყვნენ ინგლისში და საფრანგეთში. ვინც არ წასულა შარშან ლონდონში და პარიზში, მათ არც ახლა მიუღიათ მონაწილეობა სტუმრების მიღებაში, სახელდობრ, უკიდურეს მემარჯვენეებს და უკიდურეს მემარცხენეებს—ს.-დემოკრატიულ ფრაქციას და მასთან ერთად „ტრუდოვიკებსაც“.

ჩვენ არ შევჩერდებით უკიდურეს მემარჯვენეების განზე გადგომის მიზეზების განხილვაზე, რადგანაც ყველასათვის ადვილი გასაგებია და მისახვედრი მათი სულისკვეთება: ვერ მოუნელებიათ, ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ საფრანგეთის პალატის წარმომადგენელნი ვიზიტს უკეთებენ რუსეთის თითქოს პარლამენტის წევრებს და მით ისინი, უკიდურეს მემარჯვენეების წარმოდგენით, სახელმწიფო დუმის არსებობას,—მის საკანონმდებლო ხასიათს თითქოს ამაგრებენ. სულ სხვა სარჩული აქვს, როცა ს.-დემოკრატიულ ფრაქციას ბანკეტზე დასწრებას ეუბნებიან და ის კი უარს ამბობს. საფრანგეთიდან ჩამოსულ სტუმრებში ყველაზე მემარცხენე არის დეპ. ლებუკი, რომელიც „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით შემდეგნაირათ განმარტავს თავის ჩამოსვლის მიზანს: მე ვეკუთვნი სოციალისტ-რადიკალების პარტიას და მიუხედავათ ამისა, მე ვიღებ მონაწილეობას ამ მოგზაურობაში და ჩემ მონაწილეობას სრულიად ამართლებს ჩემი პარტია, რომელიც მშვენივრათ გრძნობს იმ რეალურ სარგებლიანობას, რომელიც წარმოსდგება საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთ შორის კავშირიდან“... ამის შემდეგ დეპუტატი ლებუკი ეხება თავის თანამემამულის ჰერვეს ანტიმილიტარულ პროპაგანდას და ამბობს, რომ „ამ ვაჟბატონს (იგულისხმეთ ჰერვე) არავინ პატივისცემით არ ეპყრობა და ამ უკანასკნელს დროს მას განშორდენ მისივე მომხრეები. მისი პროპაგანდა პირველ დღიდანვე ჯეროვანათ იქნა დაფასებული და ის სრულიად არ შეხებია ჩვენი სამხედრო წესების საფუძველსო“. ამ მოკლე საუბრიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ დეპუტატ ლებუკს სოციალისტობის არ სცხია რა, თუმცა ის ეკუთვნის რადიკალ—სოციალისტურ პარტიას. ჩვენ კარგათ ვიცით, როგორ აფასებენ საფრანგეთის სოციალისტები და მათ შორის, ზომიერი ჟორესი რუსეთ-საფრანგეთის კავშირ-მეგობრობას, როგორ ექცეოდენ ისინი სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრებს, როგორ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ რუსეთის ახალ-ახალ სესხების მიცემის კითხვას. დეპუტატი ლებუკი კი, ალბათ, ამ მეგობრობის სარგებლიანობას იმაში ხედავს რომ რუსეთში 13 მილიარ. მან. საფრანგეთის ბურჟუაზიის ფულები არის სესხათ აღებული, ამის სარგებელი რამდენიმე მილიონი ყოველ წლივ რუსეთის გაძვალტყავებული ხალხის ჯიბიდან ამოდის და საფრანგეთის ბანკირების ჯიბეში მიჩხრიალობს. აქედან რა სარგებელი აქვს რუსეთის მშრომელ მასსას, რომელსაც ნასესხები ფულიდან ერთი კაპეიკიც არ უნახავს; ნასესხები ფულის ერთი ნაწილი თოფ ზარბაზნების და უვარგისი გემების შეძენაზე წასულა, ერთი წილი საზარალო რკინის გზების გაყვანაზე და ერთი წილიც იაპონიასთან ომში წყნარ ოკეანეს უფსკრულში შთანთქმულა. რომელი ნამდვილი სოციალისტი უკმევს დღევანდელ სამხედრო წესების საფუძველს გუნდრუკს, რომელი გამოდის მათ სადიდებლათ, რომელი იწონებს იმ აუარებელ ხარჯებს, რომლებიც დღეს იხარჯვის ფლოტზე და ჯარებზე? არც ერთი სოციალისტი არ არის იმის წინააღმდეგი, რომ შემოსეულ მტერს, რომელსაც განზრახვა აქვს საუკუნოებით მოპოებული კულტურის გაოხროს, შესაფერისათ დახვდეს და უკან გაისტუმროს, ამისათვის როდია საჭირო ის სამხედრო წესები, რომლებიც დღეს თითქმის ყველგანაა ევროპაში, ამისათვის სრულიად საკმაოა, რომ ყველა მოქალაქემ იცოდეს თავის მოხმარა და ის მზათ იყოს უცაბედათ მოსეულ მტერს ყოველთვის მზათ დახვდეს: შვეიცარიაში მუდმივი ჯარი არა ყავთ, მაგრამ შვეიცარიელები თავისი სიმამაცით, სამხედრო ნიჭით მთელ დედამიწაზე განთქმული არიან. დეპუტატი ლებუკი, როგორც გავს, სულ სხვანაირათ აზროვნობს და ამიტომაც იცავს ასე გულმოდგინეთ მის სამშობლოში გამეფებულ სამხედრო წესებს.

დეპუტატი ლებუკი მართო იმაში როდი ღალატობს სოციალისტურ აზროვნებას; ამას თავი დავანებოთ: თვით უბრალო რამეშიც ცდება, თუ გულწრფელათ მსჯელობს. „ჩვენი მოსვლა აქ და ის ყურადღება, რომელიც ჩვენდამი გამოიჩინეს, იმას მოწმობს, რომ ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას რუსეთში მკვიდრი ნიადაგი მოუპოვებიაო“, ასე ფიქრობს დეპუტატი ლებუკი. პატივცემულ სტუმარს რუსეთის დღევანდელი ცხოვრება, ეტყობა, არ ცოდნია, თვარა ასეთი აზრი როგორ წამოცდებოდა. რას ეძახის ჩვენი სტუმარი ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას? განსაკუთრებულ წესებს, რომლებიც მთელი რუსეთის მოქალაქობრივ ცხოვრებას მაჯლაჯუნასავით დაწოლია თავს და გასაქან გზას არ აძლევს? რომ არავითარი თავისუფლება—არც კრების, არც სიტყვის, არც კავშირების, არც მიმოსვლის არ არსებობს? თვით სტუმრების და მათი დამხვდურების პოლიტიკურ თემებზე სიჩუმე განა ამას არ ამტკიცებს? სანამ ასეთი წესები გაგძელდება არავის უფლება არ აქვს თქვას, რომ რუსეთში ახალი პოლიტიკური ცხოვრება მკვიდრ ნიადაგზე დამდგარაო, თუ ის გულწრფელია. ალბათ, ამგვარმა ბრუნდმა შეხედულებამ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და პრინციპიალურ შეხედულებათა განსხვავებამ საფრანგეთის სტუმრებსა და ს.-დემოკრატიულ ფრაქციას შორის, უკანასკნელი იძულებულ ჰყო უარი ეთქვა იმ ბანკეტზე დასწრების, რომელიც გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის თაოსნობით.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 თებერვალი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მთავრობა ოფიციალურათ აბათილებს ხმებს აბდულ-ჰამიდის ავათმყოფობის შესახებ.

ბოლგარეთის საზღვარზე შეტაკება, რომლის დროსაც მოკლეს ერთი ოსმალელი სალდათი და სამი დასჭრეს, საქმეს არ გაამწვავებს. სამხედრო მთავრობას დაევალა საქმის გამოძიება. საქმე მეგობრულ მოლაპარაკებით გათავდება.

სასახლე შირაგენში ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამომკვლევმა კომისიამ გამოაცხადა, რომ ცეცხლის გაჩენა ბოროტგანზრახვით არ მომხდარა.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** რეიტერს დეპეშით ატყობინებენ კალკუტიდან: ტიბეტელ ორი შიკრიკის სიტყვით აღმოსავლეთ ტიბეტში 2000 ჩინელმა გაძარცვა ეკლესიები და დახოცა მრავალი ლამები. შიკრიკებს განზრახვა აქვთ მიმართონ ინდოეთის მთავრობას მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება. იმედი აქვთ, რომ ინდოეთი მოსთხოვს ჩინეთს, მიიღოს ზომები უწესოების მოსასპობათ.

**პარიზი.** ანტიმილიტარისტ ერვეს, რომელსაც აპაშ ლიბეფის საწინააღმდეგო მოქმედების ქებას აბრალებდენ, სასამართლომ ოთხი წლის ციხე და ათასი ფრანკი ჯარიმა გადაუწყვიტა.

**ფოლივენი.** (მასსაჩუსეტი) ბამბის ყველა ფაბრიკებმა დაადგინეს შეამცირონ წარმოება და კვირაში მხოლოდ ხუთი დღე იმუშაონ. ამის გამო 25,000 მუშა უადგილოთ დარჩა.

**ლონდონი.** რეიტერს ატყობინებენ: ჩენგალეს ორივე არსენალში 7000 მუშა დღე და ღამე მუშაობდა ტიბეტის საექსპედიციო ჯარისთვის იარაღების გასაკეთებლათ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ აირჩია ორი ახალი ვიცე-პრეზიდენტი: რომანჩუკი, რუსი და კონჩი—იტალიელი. პალატა შეუდგა რეკრუტების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც სახელმწიფოს დაცვის კომისიას გარდაეცა. სხდომის დასასრულ დეპუტატმა მარკოვმა პროტესტი განაცხადა, იმის შესახებ თითქოს გალიციაში რუსულენას სდევნიდენ. პრეზიდენტს წინადადება მისცა წარადგინოს ინტერპელიაცია.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. მორლეიმ განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა ნეიტრალიტეტს დაიცავს დალაი ლამის შესახებ.

### რუსეთი.

**დონის-როსტოვი.** ვლადიკავკავის რკინის გზის სამმართველომ რკინის გზათა დეპარტამენტის შეკითხვაზე თანხმობა განუცხადა მიიღოს თავის თავზე კავკასიონის მთების ულელ-ტეხილზე რკინის გზის გაყვანა.

**იაროსლავ.** [illegible]

თლო პალატამ კოლოგრივის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომელსაც აბრალებდენ, რომ სამსახურს გადააჭარბა და გლეხებს მთავრობის საწინააღმდეგო ლიტერატურა გაუგზავნაო, სამსახურიდან გადაყენება გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა რა საკითხი მუშა ბობრიკინის საქმის ხელახლა განხილვის შესახებ, დაადგინა: გააუქმოს წინანდელი განაჩენი და მთავარ სამხედრო პროკურორს მოხსენდეს პროკურორის მოქმედება. ბობრიკინს ექვსი წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი.

**პეტერბურგი** „კანონთა კრებულში" დაბეჭდილია, რომ პირველი გილდის ვაჭრებს, რომლებიც 1899 წ. 22 იანვარს გამოცემულ უმაღლესათ დამტკიცებულ დებულების შემდეგ დასახლდენ მოსკოვში და მოსკოვის გუბერნიის სხვა ქალაქებში, მიეცეთ იქ ცხოვრების ნება.

**მოსკოვი.** დილით საფრანგეთის სტუმრები მივიდენ უნივერსიტეტში. მიულოცა პროფესორმა კომაროვსკიმ. პასუხი გასცა დესტურმნელმა. მან სიამოვნებით აღნიშნა, რომ რუსეთის ძველ დედა ქალაქში იმყოფება, რომელიც სწავლა-განათლების ცენტრია. აუდიტორიაში ის მიესალმა სტუდენტებს და მოუწოდა მუშაობისაკენ. ერთმა სტუდენტმა სთხოვა გარდასცეს საფრანგეთის სტუდენტებს, ხალხს და პარლამენტს მათი სალამი. დესტუმრნელმა გადაჰკოცნა ორატორი შემდეგ სტუმრებმა ინახულეს საფრანგეთის საქველმოქმედო საზოგადოება, ეკლესია და საელჩო. მათ გაიგეს, რომ საფრანგეთის ახალ შენს 200,000 მანათი სჭირდება საქველმოქმედო საზოგადოების დაწესებულებისათვის სახლის ასაშენებლათ. აღუთქვეს იშუამდგომლონ პარლამენტის წინაშე. შენიემ განაცხადა, რომ სწირავს 10,000 მანათს.

„კავკასიის" რესტორანში გამართეს საუზმე. წარმოსთქვეს გრძნობით სავსე სიტყვები კავკასიის, რუსეთის და რუსის ხალხის სადღეგრძელოთ.

**დონის-როსტოვი.** როსტოვიდან 54 ვერსტის მანძილზე ბუდკაში იპოვნეს „უგარისაგან" დამხრჩვალი მოიჯარადრე და ექვსი მუშა.

**ლოძი.** გაიხსნა სამხატვრო გამოფენა. გაგრძელდება ექვს კვირას.

## ვერა კომისარჟევსკაია.

**კოკანდი.** „სისხლის მოწამვლის გამო გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი ქალი კომისარჟევსკაია".

ძნელია იმ უსაზღვრო მწუხარების გამოხატვა, რომელიც ამ მოკლე დეპეშამ ელვის სისწრაფით აცნობა მთელ რუსეთს და ევროპას.

ვერა გარდაიცვალა!

რა ნაღვლით და სევდა-კაეშნით აავსებს ეს ულმობელი სიტყვები ყოველი ადამიანის გულს!.. ცრემლები, გლოვა, მწუხარება—ყოველივე ეს სუსტია გამოხატოს ის სევდა, რომელსაც განიცდიან დიდებული მსახიობი-ქალის ნაცნობნი, მეგობრები, თაყვანის-მცემელნი და მიმდევარნი... კომისარჟევსკაია ბრწყინვალე ლამპარი იყო არა მარტო ხელოვნების ტაძარისთვის, არამედ—მაღ-ბნელი ზეწრით მოცული საზოგადოებისთვისაც. თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი, დაუღალავი ენერგია, თფილი გრძნობით და სპეტაკი სიყვარულით აღსავსე სიცოცხლე მან ზვარაკათ შესწირა საზოგადოების ინტერესებს.

განსვენებული ცნობილი იყო, როგორც დიდი ნიჭის მქონე მსახიობი არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიაც. სასცენო მოღვაწეობა მან დაიწყო 1893 წ. ნოვოჩერკასკში და ერთი წლის განმავლობაში უკვე ცნობილი მსახიობი შეიქნა რუსეთის საზოგადოებისათვის. 1896 წ. ვერა ფედოროვნა მიიწვიეს პეტერბურგში, ალექსანდრეს თეატრში, სადაც სახელოვანათ მოღვაწეობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. მის გასტროლებს ევროპაში და ამერიკაში აღტაცებით ეგებებოდენ. 1904 წლიდან მან დააარსა პეტერბურგში საკუთარი თეატრი, რომელმაც მთელს რუსეთში სახელი გაითქვა. თეატრის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი თვითონ კომისარჟევსკაია იყო. „კომისარჟევსკაიას თეატრი" განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა სატახტო ქალაქში თავმოყრილ მოსწავლე ახალგაზდობისას. ყოველ წარმოდგენის დროს თეატრი სტუდენტებით და კურსისტკებით იყო გაჭედილი. ახალგაზდობას უსაზღვროთ უყვარდა ვერა ფედოროვნა და მხურვალე თანაგრძნობითაც აჯილდოვებდა მის მოღვაწეობას.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში განსვენებულმა შემოიარა ევროპის რუსეთი, ციმბირი, კავკასია და კასპიის იქითა მხარე. მან თავისი შესანიშნავი თამაშით ერთხელ კიდევ დაატკბო მისი ნახვის მონატრული საზოგადოება, მაგრამ.. ვერას გასტროლები თურმე უკანასკნელი გამოთხოვება იყო... ულმობელმა სიკვდილმა თავისი არ დაიშალა. მან არ შეიბრალა არც საზოგადოება, არც დაობლებული სცენა; მან არ დაინდო არც სიცოცხლე, არც ნიჭი, არც ხელოვნებისადმი სიყვარულით აღგზნებული გული... სიკვდილმა თავისი სასტიკი ხელებით შეუბრალებლათ მოგლიჯა სიცოცხლეს ჯერ კიდევ სავსებით გაუფურჩქნელი ყვავილი და გაყინულ სამარეს მიაბარა... დადუმდა ტკბილათ მოუბარი ვერას ენა! სამუდამოთ დაიხუჭა მისი ცეცხლის მფრქვეველი თვალები!

მოკვდა დიდებული მსახიობი... მაგრამ მისი სახელი უკვდავია ისტორიისათვის... მის ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს და მუდამ ჟამს გულით ატარებს მადლიერი ახალგაზდობა...

## ფრიდრიხ ლესნერი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საინტერესო ამბავს დავესწარი 7 თებერვალს ახ. სტ. და მინდა მკითხველსაც გავუზიარო ის. ასე, საათის 12-ზე დღით გავემგზავრეთ ტიუბით (უკვსკნელში მოსიარულე ელექტ. ტრამვაი) და ჩქარა თავი ამოვყავით ლონდონის ჩრდილოეთ კიდეზე. იყო კაი ძალი ხალხი, სულ გერმანელნი, ასე რომ, თავი ისევ ბერლინში მეგონა! იყვენ აგრეთვე ორიოდე ინგლისელნი და იმდენივე რუსნი თუ სხვა ტომისანი. გავიარეთ ცოტა ფეხით და მივადექით კრემატორიუმს (შენობა, სადაც მიცვალებულთ სწვავენ). არ გასულა ერთი წუთიც და მიცვალებულიც მოასვენეს: წინ ბალდახინი კუბო და მრავალი გვირგვინები, უკან ორი დახურული ეტლი ჭირისუფლებით... ესაა აქაური ჩვეულება.

კრემატორიუმი შიგნით ძალიან სადაა და სუფთა. არც ხატია და არც ხუცის სახსენებელი. იატაკი ნოხითაა მოფენილი. ჩვენ ჩამოვსხედით გრძელ მერხულებზე, ჩვენზე წინ ჭირისუფალნი. ზევით აივანზე ჩამწკრივდა მგალობელთა გუნდი მუშათა კომუნისტურ განმანათლებელ ფერეინისა. წინ იატაკი ორი საფეხურით ამაღლებულია, სდგას გრძელი რკინის ტაბაკი და მასზე ზევით კუბო ყვავილ-ლენტებით. კუბოს პირდაპირ კედელი გამოჭრილია და მოგაგონებთ ფურნის ნახვრეტს. მოშორებით აქედან აქეთა კედელთან ამართულია პატარა ტრიბუნა მოლაპარაკეთათვის.

გუნდმა იგალობა მუშური სამგლოვიარო: „სდუმს და სძინავს..." გამოვიდა „ფორვერტ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი ბეერი და სალამი უძღვნა მიცვალებულს გერმანიის სოც. დემ. გამგეობის სახელით, შემდეგ ილაპარაკეს აქაურ სოც. დემ. დელეგატებმა კუელჩმა და ბაროვსმა, ბოლოს მგრძნობიარე და მკვირცხლი სიტყვა წარმოსთქვა ერთმა მუშამ ფერეინის სახელით. თითქმის ყველამ ერთი და იმავე ფრაზით დაათავა: „შენ იბრძოლე მთელი სიცოცხლე, აწ ჩვენ ვიბრძოლებთ"! გუნდმაც შემოსძახა გერმანელ მუშების საყვარელი სიმღერა: „მას უნდოდა ხალხის შვილად ყოფნა-დარჩენა..." კუბო დაიძრა ნელა და ნახვრეტში შეძვრა... ამოსკდა ნათესავ-მეგობართა ტირილი.

მკითხველი უკვე მიმხვდარია, ვინ ყოფილა ეს მიცვალებული, რომელიც ჩვენს თვალ-წინ იქცა ფერფლად და უხილავ ჰაერად. ფრიდრიხ ლესნერი აგერ 85 წლისა იყო. იგი დაიბადა გერმანიის ერთ-ერთ პატარა სახელმწიფოში, საქსენ-ვაიმარში 1825 წელს; აღიზარდა ღარიბ ოჯახში და იყო ხელობით მკერავი. იგი ეკუთვნოდა გერმანიის პროლეტარიატის იმ თაობას, რომელმაც ინსტიქტიურათ იგრძნო პირველათ ამა ცხოვრების სიმუხთლე და მისი აუცილებელი გარდაქმნა. მისი პირველი მასწავლებელი მუშა-უტოპისტი ვეიტლინგი იყო. ის გაექცა სამხედრო ბეგარას და ლონდონში ამოყო თავი. ჩქარა ამის შემდეგ, 1847 წელს, მარქსმა და ენგელსმა შეუდგინეს აქაურ კომინისტთა კავშირს ცნობილი მანიფესტი და მანუსკრიპტის სტამბაში წაღება ახალგაზდა ლესნერს ხვდა წილად.

ამის შემდეგ ლესნერი ამ ორ დიდ თეორეტიკოსთა წრეში რჩება და საფუძვლიანათ ითვისებს მათს და სხვების ნაწერებს. ის ახლა უტოპისტი არაა და იბრძვის თავდავიწყებით გერმანიის 48 წ. რევოლიუციას ის პირადათ განიცდის და კიდეც ისჯება გამარჯვებულ რეაქციისაგან. შემდეგ აქტიურათ მუშაობს ძველს ინტერნაციონალში, გერმანელ მუშებში ლონდონში და სხ.

ძველი ინტერნაციონალის და მარქს-ენგელსის მიცვალების შემდეგ ლესნერი იქცა ამ დიდ წარსულის ცოცხალ ტრუბადურად. მას არ უდევდა გული დღევანდელ მუშაობაზე, თუმცა აღგზნებულათ თანაუგრძნობდა მას. იგი იყო გატაცებული წარსულის დიდებით, რომელიც ფაქტიურათ მომავალია. იგი დაბრმავდა კიდეც უკანასკნელათ, მაგრამ გულს არ იტეხდა. ის აღტაცებით მოუთხრობდა მაყურებელთ ეპიზოდებს წარსულ საგმირო საქმეებიდან. მას დღესაც ზეპირათ შეეძლო გადმოეცა მარქსის მთელი სტატიები „ახალ რეინის გაზეთი"-დან! მას აღარა სწამდა სხვა წიგნები, გარდა ფეიერბახის „არსება ქრისტიანობისა", მარქსის „კაპიტალისა" და ენგელსის „გლეხთა ომისა".

შეიძლება ითქვას, ლესნერი არ ეკუთვნოდა უკანასკნელათ არც ერთ ერს კერძოთ, მისი სულის კვეთება მსოფლიოს და მის განმაახლებელ პროლეტარიატს დასტრიალებდა თავს. იგი იყო ტიპი გერმანელ პროლეტარისა: სწავლის მწყურვალე, ორგანიზატორი, ბოლომდე გამტანი, ღრმათ დარწმუნებული სოციალიზმის გამარჯვებისა...

ა. ჩ.

## გვიკვირს!

ხუთი იანვრის კატასტროფის შესახებ გამოძიება მოისპო, „ვინაიდან დამნაშავე არ აღმოჩნდაო",—ამბობს გაზეთი „კავკაზი". კეთილი!

ჩვენ ვიცით, რომ გამოძიება ისპობა საზოგადოთ შემდეგ შემთხვევებში: 1) ბრალდებულის აღმოუჩენლობით, 2) ბრალდებულის სიკვდილით, 3) უმაღლესი მანიფესტით, 4) ხანგრძლივობით, 5) თუ შემთხვევა გამოწვეულია ბუნების დაუძლეველის ძალის ზეგავლენით. ხუთი იანვრის შემთხვევა არ არის გამოწვეული სტიქიით: არ ყოფილა იმ დღეს არც ქარ-ბუქი, არც წყალ-დიდობა; არ გამოუქროლავს არც მეტეორს. სხვა მიზეზებთა შორის არ არის არც სიკვდილი, არც მანიფესტი, არც ხანგრძლივობა.

თუ ეს ასეა, ჩვენის აზრით, არც „ბრალდებულის აღმოუჩენლობას" არ უნდა ჰქონდეს ალაგი. ვინმე უთუოდ უნდა იყოს ამ საქმეში ბრალდებული, ან ვატმანი, ან მეხრეშე, ან დირექცია, როგორც ტრამვაის მოძრაობის უმთავრესი ხელმძღვანელი. ამის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი. ფაქტებით ხელში ჩვენ ვამტკიცებდით, ვინ უნდა დაეჯდინათ საბრალდებულო სკამზე. ჩვენი მოსაზრებები და ფაქტები არ მიიღეს მხედველობაში. ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ამას ანგარიშს გაუწევენ ვინაიდან გამომძიებელი რუსანოვი აცხადებდა: ვინც კატასტროფის შესახებ ამე იცის, ვთხოვ შემატყობინოსო. ჩვენც ვატყობინებდით გაზეთის ფურცლებზე.

არ ვიცით, წაუკითხეს, გადუთარგმნეს თუ არა მას ჩვენი წერილები.

მიუხედავათ ამისა, გამოძიება გაქვდა და ბრალდებული ვერ მონახეს.

კარგი და პატიოსანი!

მაგრამ საჭიროა საზოგადოებამ ცოდეს, როგორც მოხდა ეს გამოძიება, რა იქნა გამოძიებული. საჭიროა ვიცოდეთ მთელი გამოძიება. საზოგადოება მეტათ აღელვებულია ხუთი იანვრით, და აი, ამ აღელვების დასაცხრომათ ჩვენ ვაძლევთ გამომძიებელ რუსანოვს წინადადებას: გამოაქვეყნეთ მთელი გამოძიება უცვლელად. სასამართლოს მატიანემ იცის ამისთანა შემთხვევები—მაგალითად, სადგურ ტიხორეცკაიაზე ზოლოტოვას ქალის გაუპატიურება.

აი, 9 თებერვალს კიდევ გადაბრუნდა

## სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან.

(გაგრძელება)

ახლად არჩეულ სამხედრო შტაბში, „კომისიონ-ტენგში" არჩეულ იქნა ერთი ქართველი. დანარჩენი წევრები ერთ დროშაკელის გარდა ყველა სპარსელი იყო, რომელთაც ვერავითარი უნარი ვერ გამოიჩინეს, გარდა ფულების გაფლანგვისა...

მაგალითად, ც. კ. წევრმა ბ. რახიმზადემ, რომელიც რეშტში იქნა მიწვეული, როდესაც პანოვმა საქმე არია და ვითომდა იარაღის შესაძენათ 25,000 მ. ჩაიდვა ჯიბეში და დროშაკელ ნერსეს სანასანიანცთან ერთად გასწია კავკასიაში, შემდეგ კი წავიდა ბერლინისაკენ და დღემდე, თუმცა რახიმ-ზადე ეხლა თეირანშია, არავითარი ანგარიში არ ჩაუბარებია კაბინეთისათვის და არც იარაღი უყიდნია. შტაბის მეორე წევრმა მირფანტმა („მირ-ფანტი" არტილერიის გენერალია ფარსულათ) რამდენიმე ათასი ჩაჯიბა, სეიდ-ალიმ ხომ მთლათ გაძარცვა შტაბი და თავის სახლში გადაზიდა.

ყველა ზემოთ, ჩამოთვლილი ბოროტების შემოწმება შესაძლებელია რამდენიმე ასი მოწმის ჩვენებით.

ერთი სიტყვით გაჩაღდა ნამდვილი ქურდობა. ყველა წევრები ერთმანეთს ჰბაძავდნენ. ზოგი ფულს იპარავდა, ზოგი ცხენს, ზოგი იარაღს ითვისებდა და ვინ მოსთვლის კიდევ რა არ ხდებოდა, რამაც ისე გააბრაზა შტაბის წევრი ქართველი (ერთი ქართველი იყო შიგ წევრათ) რომ კინაღამ საქმე იარაღით გათავდა, მარა ამაზე დაწვრილებით სხვა დროს..

რეშტი [illegible] მთელი პროვინცია დღესასწაულობს გამარჯვებას. თავრიზიდანაც კარგი ამბები მოდიოდა და ამ გამარჯვების შემდეგ-კი, ბელადმა ხანებმა ფრონტი იცვალეს. თითქოს აღარავის აინტერესებდა, როგორც მომავალი ბრძოლა და ხიფათი, აგრეთვე იმ გმირთა არსებობა, რომელთაც მეოხებით დღეს ისინი ბატონობენ და ჯიბეებს ისქელებენ.

თავ-სატეხი ყველაფერი ისევ გურჯებისა და რამდენიმე დროშაკელებისა შეიქნა თეირანის გზის გამაგრება, საიდანაც ხმა მოდიოდა, რომ ყაზვინინიდან შახის ჯარი მოდის რეშტზედ დასაცემათო. პირველათ მათ იკისრეს და შეუდგენ სამგზავროთ მზადებას. ცხენები, იარაღი, რაც-კი საჭირო იყო და იშოვებოდა, ყველაფერი მზად იყო მეორე დღისათვის.

30 იანვარს მზად იყვენ წასასვლელად. მეტი წილი რაზმელებისა რეშტში დარჩა, რადგანაც ლაიტანის მხრიდან მტრის მოლოდინში იყვენ. მცირე ნაწილი კი, რიცხვით 24 კაცი—ამათში 11 ქართველი იყო, 8 სომეხი და 5 სპარსელი კარგად შეიარაღებულნი, ცხენებით, საღამოს გაემგზავრენ თეირანის გზისაკენ, სადაც სიმაგრეები უნდა დაეჭირათ, რომ ყაზვინიდან წამოსულ ჯარს გზაშივე გამკლავებოდენ და რეშტისაკენ არ გამოეშვათ.

რაზმი ხალხმა დიდის აღტაცებით, მუსიკის კვრით და ყიჟინით გააცილა. „გაუმარჯოს გურჯებს, გაუმარჯოს სომხებს, გაუმარჯოს მაშრუტას»,—გაიძახოდა ყველა. როდესაც რაზმმა შუა ქალაქის ბაზარს მიაღწია, ქართველებმა შემოსძახეს კახური მაყრული, დანარჩენებმა ჰაერში მისცეს ზალპი და გარეკეს ცხენები. სიმღერის გაგონებაზე ყველა მხრიდან მორბის ხალხი რაზმისაკენ, გამარჯვებას უსურვებს მას, ვაშას ძახილით, ტაშის კვრით და ყიჟინით ქალაქის საზღვრამდე აცილებს.

რაზმი მიუახლოვდა რუსეთის საელჩოს, რომელიც ქალაქ თეირანის გზის სათავეში მდებარეობს და მარსელიოზას სიმღერით ჩაუარა წინ სასახლეს. საკონსულოს მოხელეები თავშეფარებული რეაქციონერებითურთ მარსელიოზას სიმღერის გაგონებაზედ მოაჯირზე გამოცვივდენ და ხმა ჩაკმედილებმა გააცილეს რაზმი.

რაზმი გაჰყვა რუსეთის მიერ გაკეთებულ თეირანის ფოსტის გზას, რომელიც სადგურ საფით-კატლემდე ტყე-ტყე მიჰყვება, შემდეგ გზა ადის მაღალ მთიან ალაგებში და მდინარე სიფიდ-რუდის ნაპირზედ მიდის სადგურ მენტილამდე, რომელიც 90 ვერსით არის დაშორებული რეშტზედ. მეორე დღეს, 31 იანვარს, რაზმი უხიფათოდ მიუახლოვდა სოფელ რუსტამ-აბადს; მათ წითელი დროშებით ხელში გზაში შეეგება 500-დე გლეხი კაცი, ხანების ხელმძღვანელობით. „იაშასუნ მაშრუტა" „იაშასუნ გურჯი" იგრიალა ბრბომ, როდესაც რაზმმა სამაგიერო სალამი უძღვნა და სიმღერით გადაუხვია სოფ. რუსტამ-აბადისაკენ, სადაც რუსეთის გზის ფოსტის სადგური იმყოფება; ღამე რაზმმა იქ შეისვენა.

1 თებერვალს საფრების მცოდნე სამი ამორჩეული რაზმელი დილიდანვე შეუდგა, პოზიციების თვალიერებას გზის სიახლოვით, მთებში, მაგრამ მალე უკან დაბრუნდენ და რაზმს წინ სვლა ურჩიეს.

საღამოს ოთხ საათზე რაზმმა მიაღწია სოფ. რუდბარს, (82 ვერსტზეა რეშტიდან) სოფლის ბოქაულ-მამასახლისმა (ქეთხუდამ) რაზმს სადილი გაუმართა, რის შემდეგაც, რამდენიმე გლეხ-კაცმა რაზმს გააცნო ახლო-მახლო მდებარეობა.

სოფელი რუდბახი მდებარეობს მიუვალ სალ-კლდეებში. მცხოვრებლები ქურთები არიან. სოფელს შუაზედ ჩაუდის ფოსტის გზა. მარცხნივ გზისა ცამდის ამართულია კლდიანი მთა, მარჯვნით უძირო ხევი, რომელშიაც ჩამოჰქუხს უდიდესი სპარსეთში მთის მდინარე „სიფიდ-რუდი". აქ სიმაგრეების დაკავება მართლა ხელსაყრელი იყო რაზმისთვის, რადგანაც, თუ ვინიცობაა ყაზვინიდან წამოსული ჯარი გაბედავდა როგორმე მთებში შემოსვლას, ცოცხლად დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი გაუხდებოდა მას ან სიკვდილი-დამარცხება მთელ ჯარს, ან ცოცხლათ ნებით უკან დახევა. აი რა გზა ჰქონდა მას.

ამ სოფელ რუდბარში ერთ ქარვასლაში (ქარვასლები თეირანის გზაზედ მრავალია მგზავრებისათვის) დაბანაკდა რაზმი, დაათვალიერა მიდამო და ნახევარ ვერსზედ სოფლიდან მეორე დღესვე დაიწყო მზადება საფრებისა.

საფრების მზადებას ხელმძღვანელობდენ გამოცდილი რევოლიუციონერები: 1) გ. ს. საპიორი, რუს-იაპონიის ომში ნამყოფი, 2) „პოტიომკინის" აჯანყების მონაწილე მატროსი ალიოშა და 3) ქვეით ჯარში სალდათად ნამყოფი პეტრე. ორი დღის განმავლობაში ცხრა საფარი მზად იყო, ასე რომ, თითო საფარში 6—8 კაცი ჩასხდებოდა. რაზმი ყოველ საათს მტრის ლოდინში იყო. რადგანაც რაზმი რეშტიდან მოუმზადებელი წამოვიდა, ბევრ ვაი-ვაგლახს განიცდიდა და არ იცოდა რა ექნა. ხშირად მშიერ-მწყურვალი, დაგლეჯილ-დაფლეთილი წინ მიიწევდენ მტრის დასახვედრათ. მზათ იყვენ მიეტოვებინათ რუდბარის საფრები და ყაზვინს დასცემოდნენ, რომ მტრისათვის ხელი შეეშალათ, სანამ ძალას მოიკრებდენ, მაგრამ რეშტიდან ეგრედ წოდებული „კომისინ-ტენგი" (სამხედრო შტაბი) ნებას არაძლევდა რაზმს წინ წასულიყო.

არ ეგონოს მკითხველს, რომ უ რაზმი შიმშილს განიცდიდა, ეს ულსრობის ბრალი იყო. ეს იმის ბრალ იყო, რომ, როგორც ქრისტიანებს, ურჩელს არავინ ათხოვებდა რაზმელებს და თუ რაზმში 5—6 კაცი სპარსელი ოიპოვებოდა, ყველანი სადილობდენ ქრთების ოჯახებში. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ რაზმელებმა ბოქაულს მიმართეს და ემუქრებოდენ კიდეც თუ ჰურჭლს არ იშოვიდა; მაგრამ რას იზამდა ბოქაული, როდესაც რაც ქვაბები მოიძებნებოდა, სოფლელებს მთებში დაემალათ, რომ ქრისტიანებს არ ეხმარათ!

6 თებერვალს, ღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც დარაჯმა-რაზმელებმა შეიპყრეს თეირანში მიმავალი რუსეთის საკონსულოდან გაშვებული სამი სპარსელ ყაზახთა აფიცერი მათ შორის ყაზახთა პოდპოლკოვნიკი აბდულა-ხანი, (აბდულა-ხანი ნემეცია, სარწმუნოება გამოცვლილი აქვს). ეს აფიცერი ყველაზე ნასწავლ კაცათ ითვლება სამხედრო პირთა კორპორაციაში და კარგი გამოცდილი ტეხნიკოსია. რაზმს მათი ცოცხლად გაშვება არ უნდოდა და რეშტიდან რჩევას თხოულობდა. რეშტელები კი მათ გაშვებას ურჩევდენ, მაგრამ რაზმმა რჩევა არ გაიგონა და დარაჯებით უკვე რეშტისაკენ გააბრუნა ტყვეთ და შებსაც აცნობა თუ ვინიცობაა ის ნებას დართავს რეაქციონერებს თავისუფლათ თეირანში წასვლისას, მაშინ რაზმი მოულებურად გახდება თავისი ზომები მიიღოს. პანი[illegible] კაც გამოურკვეველი[illegible]

ვაგონი ორთაჭალაში. ასეთ შემთხვევას ბოლო უნდა მოეღოს. ბოლოს კი სასტიკი გამოძიება და იმის გამოქვეყნება მოუღებს.

ნუ დავინდობთ „დიდ ღმერთებს“.

იკა.

# ახალი ამბები.

**წ. კ. გ. საზ. გამგეობის** მორიგი სხდომა შესდგა ხუთშაბათს, 11 თებერვალს. გამგეობამ განიხილა რამდენიმე მორიგი საკითხი და დაადგინა: მიეცეს ნავთლუღის სკოლას 55 მ. დახმარება. თფ. მოქალაქის ი. ფანიაშვილის განცხადება, რომ გამგეობამ მისი მამულები ლატარიაში ჩააგდოს და შემოსავლის ნაწილი თავის სასარგებლოთ დაიტოვოს, გამგეობამ იურისტს გადასცა განსახილველათ და თავის აზრის წარმოსადგენათ. გამგეობას მოხსენდა სასკოლო სექციის წინადადება მასწავლებელთათვის კურსების გამართვის შესახებ და დაამტკიცა სექციის პროგრამა. წინადადება მიეცა გამგეობის წევრს ალ. მდივანს მომავალ საზოგადო კრებაზე მოხსენება წარმოადგინოს სკოლებისათვის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ; სახალხო სკოლების დირექტორმა ნება არ დართო გამგეობას გიორგიწმინდაში საკვირაო სკოლის გახსნაზე და სასკოლო სექციას ამის შესახებ პასუხის დამზადება მიენდო. გამგეობამ 25 მან. გადასდო პეტერბურგის განათლების ლიგის განცხადების თანახმათ სახელმძღვანელოებისა და სხვა წიგნების გამოსაცემათ. მიეცა ნაძალადევის ბიბლიოთეკას სესხათ თუთხმეტ თუთხმეტი მან. რამოდენიმე თვის განმავლობაში. მიეცა სტუდენტ ალ. დგებუაძეს ერთი თვის სტიპენდია და ვარი ეთქვა პოლიტიკურ გადასახლებულ ალ. მაისურაძეს, რომელიც გამგეობას წიგნებით დახმარებას თხოვდა.

**კოჯორის რკინის გზა.** ფუნიკულიორის სააქციონერო საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიმართა კავკასიის ნამესტნიკს, ნება დართოს გამგეობას თფილისსა და კოჯორს შუა მამადავითის მთის ქედზე რკინის გზის გასაყვანათ. როგორც გამგეობა ამბობს, ეს გზა უუმოკლესი გზა იქნება თფილისსა და კოჯორს შუა. გზის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას გამგეობა ნებართვის მიღებისთანავე შეუდგება.

**ქალაქ. სამ მილ. სესხის განაღდება.** უწინწინ, 11 თებერვალს, ქალაქის გამგეობამ რამდენიმე წინადადება მიიღო უცხო კაპიტალისტებისაგან ქალაქის მილიონზე სესხის განაღდების შესახებ. ამ საქმის დასამთავრებლათ გამგეობის წევრი

ა. მ. არგუთინსკი პეტერბურგს მიემგზავრება.

**სატელეგრაფო განყოფილება სოფლათ.** ს. ჯელაუსში, ყარსის მახლობლათ, დაუარსებიათ სატელეგრაფო განყოფილება.

**დეპეშების გზავნა.** ადესასა და თფილისს შორის ახლო მომავალში დეპეშების პირდაპირ გაგზავნა მოეწყობა.

**ზუგდიდიდან** გვატყობინებენ, რომ იქ, სატუსაღოში, სახადი მძინვარებს.

**ახალი სკოლები.** ბაქოდან გვატყობინებენ: საერობო თანხიდან დახმარებით გუბერნიაში გახსნეს 14 ორ-კლასიანი სკოლა. განზრახულია გახსნან კიდევ 7.

**„ანფისას“ გასამართლება ქუთაისში.** სამშაბათს, 9 იანვარს, ქუთაისში ქალაქის თეატრში გაასამართლეს ლ. ანდრეევის ცნობილ პიესის—გმირი „ანფისა“. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. უბილეთობის გამო ბევრი დაბრუნდა. სასამართლომ „ანფისა“ გაამტყუნა.

**ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მე-XIII სიეზდი** დანიშნულია ამა წლის მარტში. საბჭო უკვე შეუდგა სიეზდისათვის მზადებას, როგორც ამბობენ,—სიეზდი საინტერესო იქნება. მოხდება არჩევნები საბჭოს თავმჯდომარისა. გ. ზდანოვიჩი თურმე უარს ამბობს თავმჯდომარეობაზე. მას გადაუწყვეტია სრულიად დასტოვოს სამსახური.

**ბატაილის პასუხი.** ქალ. თავის მოადგილეს, ა. ხატისოვს ბატაილმა აცნობა, რომ ყველა ხელ-შეკრულებანი, ამხ. „კურიერის“ შესახებ—ბრიუსელშია გაგზავნილი და ამიტომ ქალაქის გამგეობას წერილობითი განცხადებაც ბრიუსელში გავგზავნე უსახ. საზ. გამგეობაში, რომელიც მალე შეგვატყობინებს პასუხს ხსენებულ ხელ-შეკრულობების გამოგზავნის შესახებო.

**ახალი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** წ. კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ნება დართოს მას გახსნას ოზურგეთის მაზრის ს. ლიხაურში ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

**ახალი გაზეთი.** კალ. მგელაძემ შუამდგომლობა აღძრა თფილისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დაერთოს მას გამოსცეს ქალაქ თფილისში ყოველ-დღიური გაზეთი „მოგზაური“

**პანაშვიდი.** გუშინ, 12 თებერვალს, სახალხო სახლში ვ. ფ. კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი, განსვენებულის პატივისმცემელნი და სხვანი.

**ვერის აუდიტორია.** დღეს, 13 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ფსიხოლოგიური ეტიუდი, 1 მოქ. თარ. ს. ტარიაშვილისა. „უბედური ნაბიჯი“; ვოდ. 1 მოქმ. ვ. ბალანჩივაძისა. „დატრიალდა ჯარა“, ვოდ. 1 მოქმ. კ. ყიფიანისა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება კონცერტი. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

**პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა**, რათა პოლიციელებმა თვალ-ყური ადევნონ მოსწავლეებს და ცირკში შესვლის ნება არ მისცენ მათ.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 10 თებერვალს პოლიციამ ჩხრეკის დროს დააპატიმრა 40-მდე უპასპორტო.

---

**ოზურგეთი.** 28 იანვარს სოფ. შემოქმედში ვიღაცას დაბეზღებით დარაჯებს შეტაკება მოუხდა ამას წინათ გადავარდნილ ბიჭებთან. ხანგრძლივმა სროლამ ადგილობრივ მცხოვრებნი ძალზე დააშინა. სროლამ უშედეგოთ ჩაიარა.

— ამ დღეებში აქ ვიღაც ბოროტ-განზრახველებმა გაქურდეს ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლის შენობა და წაიღეს 200 მანეთამდე ღირებული სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნები და დავთრები.

— ამას წინათ დათხოვნილ მასწავლებელ ქალებს მეც. ჟავულს და ხვარ. ბერეჟიანს უკვე დაუბრუნეს თავიანთი ადგილები.

— 6 თებერვალს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის ხელმოკლე მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა, რომლიდანაც, როგორც გადმოგვცეს, წმინდა შემოსავალი დარჩენილა 75 მანეთამდე.

— 7 თებერვალს, ღამით, ადგილობრივ მცხოვრების ან. დღონტის სახლს, რომელშიაც ამ ჟამათ მოთავსებული იყო მე-2 პლასტუნთა ბათალიონის სამხედრო საკრებულო, ცეცხლი გაუჩნდა და სულ ერთიანათ გადაიბუგა. დაიწვა საკრებულოს ნივთებიც. როგორც გადმოგვცეს, სახლი დაზღვეული არ ყოფილა.

---

**ფოთი.** კვირას, 7 თებერვალს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ფოთის უფასო სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე გამოცხადდა 25 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ინჟენერი კურლიანოკი. კრებამ განიხილა წარსულ 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა. წარსული წლის შემოსავალი უდრის 1342 მ. გასავალიც ამდენივეა. მდგომარე 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა დაახლოვებით 2,000 მანეთამდეა. კრებამ ის დაამტკიცა, რის შემდეგ ფარული კენჭის ყრით მოახდინა გამგეობის არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნენ: ქ-ნი თ. თახუმოვა, ბ-ნნი: ნ. სინსკი, რ. ვირუჟიკოვსკი, ი. ალექსიშვილი, ლ. ლიულინი და ი. კოხრეიძე. სარევიზიო კომისიაში ისევ ძველები დარჩნენ.

— კარგა ხანია რაც აქ განზრახული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფილიალური განყოფილების გახსნა, მაგრამ ამ საქმეშიც, როგორც ყველაფერში, ფოთელებს ჩვეულებრივი ბაქიბუქობა დასჩემდა. როგორც ყველგან, ამ კურთხეულ ქალაქშიაც ბლომათ მოიპოვებიან ვითომდა ინტელიგენტები, რომელთაც სჩვევიათ ყოველ კულტურულ-განმანათლებელ საქმეში იმდენათ მიიღონ მონაწილეობა, რამდენათ აქ პირადი „მე“-ს ექნება ადგილი, რამდენათ ეს საქმე მცირე რჩეულთა პრივილეგია იქნება. სრულიად ბუნებრივია თუ ასეთი ვაჟბატონები ჩინეთის კედლით შემოიზღუდავენ თავს და ისე მოქმედებენ. სწორეთ ამით აიხსნება ისიც, რომ ფართე საზოგადოებამ დღემდისაც არ იცოდა სწარმოებდა რაიმე მუშაობა ფილიალურ განყოფილების დასაარსებლათ თუ არა... როგორც იქნა კვირას, 7 თებერვალს შესდგა კრება, რომელზედაც ძველი და ახალი წევრები გამოცხადდენ თითქმის ყველანი. კრება შეუდგა გამგეობის არჩევნებს. ფარული კენჭის ყრით ერთხმათ არჩეულ იქნა ადგილობრივ განყოფილების თავმჯდომარეთ ბ-ნი ი. მეუნარგია. წევრებათ ქ-ნი: ა. მიქაბერიძე, ლ. გაგუა, ა. იაგულოვი, მ. კელენჯერიძე, ბ. ქავთარაძე, გ. საბახტარაშვილი, ი. კოხრეიძე, ლ. წულაძე, ა. მეგრელიძე და ლ. ტუღუში. ყველამ უწყის, რომ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი განყოფილების წევრობისა არის საწევრო გადასახადის სიდიდე, რომელიც მსურველთ ართმევს საშუალებას გახდეს წევრათ. თუ ახლათ არჩეულ გამგეობას სურს გამოიჩინოს არსებობის უნარი, თუ მას სურს ქაღალდში გამოკიდული არ დარჩეს და სინამდვილეში ქონდეს რაიმე რეალური საფუძველი, ის მთელი ძალღონით უნდა ეცადოს ამას ყურადღება მიაქციოს და შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს.

— ამ ბოლო ხანებში აქ ძლიერ გავრცელდა სხვადასხვა გადამდები სენი, უმეტესათ სახადი. ქალაქის გამგეობა კი არავითარ ზომებს არ დებულობს სენის წინააღმდეგ.

---

## „გურიის ახალშენი“ და ჩოლოქის მიწები.

ეკონომიურმა პირობებმა კარგი ხანია წარმოშვა გურიაში გადასახლების საკითხი, მაგრამ ასეთი მწვავე ხასიათი ამ საკითხს, როგორც დღეს, არასოდეს არ ჰქონია. სულთან-კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს გურული გლეხი გაიძახოდა; „მიწა და თავისუფლებაო“. თავისუფლებამ ხომ დიდი ხანია თავი მოგვანატრა და მაინც არ არის, მაგრამ მიწა დარჩა დღემდის თავ-სატეხ კითხვათ. „როცა დავწვები, თავი და ფეხი სხვის მამულში მაქვსო“ ეუბნება გურული გლეხი სულთან-კრიმ-გირეის. მართლაც, მიწის სივიწროვე გურიაში ფრიად საგრძნობელი დარჩა გლეხებისათვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში: ბასილეთში, ჯვარცხმაში, ერკეთში, ასკანაში, აცანაში და ფარცხმაში; ამ ზემო მოხსენებულ საზოგადოებებში შესდგა უმიწა-წყლო გლეხთა კრება და არჩეულ იქნა გადასახლების მომწყობი კომისია, თითქმის ერთი წელიწადია, რაც ეს კომისია მოქმედობს და ეძებს საახალშენო ადგილებს აფხაზეთში, ჩერქეზეთში და სხვა თავისუფალ ადგილებში შავი ზღვის ნაპირებზე, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებით სოხუმის ოლქში და სოჩის რაიონში გადასახლება არ მოხერხდა. ბოლოს კომისიამ აღმოაჩინა თავისუფალი ადგილი ჩოლოქში, რომელიც 1906 ადგილობრივი მეპატრონეებიდან დარჩა თფილისის სახელმწიფო სააზნაურო განყოფილების ბანკს. კომისიამ გამართა ჯერ მოლაპარაკება ადგილის წინანდელ მეპატრონეებთან, რომლებმაც გააცნო კომისიას ამ ბანკში დარჩენილი ადგილის გარემოება, ისიც დაუმატეს რომ ლიხაურლებს ვეხვეწეთ ეს ადგილი შეეყიდა, მაგრამ არ ჰქნესო: „ჩვენი ვერ მოგვიხმარია და მაგი ადგილი რათ გვინდაო“. ყოველ შეითხვევაში, ჩვენ მათ შევეკითხეთ: თუ ლიხაურლების საწყენი დარჩებოდა, იმ შემთხვევაში ჩვენ თავს დავანებებდით ადგილის ყიდვას, მაგრამ ლიხაურლები უარს ამბობდენ ადგილის ყიდვაზე. თვითონ ერმილე ნაკაშიძეს, რომელიც ეხლა დიდ წინააღმდეგობას გვიწევს ამ საქმეში, ექვთიმე თაყაიშვილმა სთხოვა, რომ ლიხაურელებს და მაკვანეთლებს შეეძინა ეს ადგილი, მაგრამ ერმილემ უარი უთხრა—არ უნდათო. ამ ადგილების შესახებ ერთი თვის წინათ გაზეთებშიც დაიბეჭდა ცნობა, რომ ხსენებულ მიწებს ჩვენ ვყიდულობდით ბანკიდან. გასულ ღვინობისთვეში კომისიამ გამართა მოლაპარაკება ჯერ—წინანდელ მეპატრონეებთან, მერმეთ თვით ბანკთან, როცა განცხადებასთან ფულიც (ბეთ) წარადგინა კომისიამ. ბანკმა თავისი პირობები აუხსნა ხალხის წარმომადგენლებს და ხალხიც ამ პირობებზე დაეთანხმდა. შედგა ნატარიუსში ხელშეკრულობა და მანდვეს საქმის დაბოლავება ვექილს. ამ ბოლოს ზოგიერთ ვაჟბატონებმა ასტეხეს განგაში და ჩამოაგდეს შური და მტრობა ამ ორ მეზობელ სოფლებს შორის;—არიქა ლიხაურელებო, მტრები დაგვესხა, ადგილს გართმევენ, შეიჭურვეთ იარაღით, ბრძოლა სამკვდრო—სასიცოცხლო, ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდისო—გაიძახოდენ ეს ვაჟბატონები, რომლებსაც ქვეყნის საქმე და ინტერესები ისე აინტერესებთ, როგორც შარშანდელი თოვლი. ეხლა როცა ბანკში გადაწყვეტილ ფასებში ადგილი დაგვირჩა, მხოლოდ ჩვენის ვექილის მიერ ხელის მოწერა იყო საჭირო წერილებითი პირობებისა ბანკში, ეხლა, როცა ხალხმა გაყიდა თავის სახლი-კარი, ადგილი, ხარი, ძროხა, ღორი, და სხვა უკანასკნელი თავ-შესაფარი, რომ ფული შეეტანა ბანკში და კიდევაც გადასცა თავის ვექილს ზოგიერთმა ლეხოურელმა ვაჟბატონებმა აფრინეს დეპეშები აქეთ-იქით და საქმე შეაჩერებინეს. როგორც იქნა დიდი მოლაპარაკების შემდეგ დავითანხმეთ სამედიატორო სამართალზე. „მტყუანს კარებამდის მიყევითო“—იტყვიან.

ვნახოთ როგორ მოეპყრობა სამედიატორო სასამართლო ამ უმიწა-წყლო და უსახლკაროთ დარჩენილ ას მოსახლეს.

„ხალხი“.

# უკანასკნელი ფოსტა

რუსეთი.

**ახალი გადასახადები.** ფინანსთა სამინისტრო შეუდგა მასალების განხილვას ახალი გადასახადების შემოღების შესახებ. პირველ რიგზე წამოყენებულია გადასახადი გაზზე, რომელსაც გასანათებლათ ხმარობენ და ზოგიერთი ხარისხის ქაღალდზე.

**გიმნასტიკის კურსები.** სახალხო განათლების სამინისტრომ პროექტი შეიმუშავა გიმნასტიკის კურსების მოსაწყობათ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთათვის. კურსები გაიხსნება არა უგვიანეს მაისისა.

პროექტში აღნიშნულია, რომ აუცილებლათ საჭიროა გიმნასტიკის გადამცემმა შეისწავლონ ყველა საკლასო აღმზრდელებმა.

**„ჭ. რუსთა» კავშირის** უმთავრესმა საბჭომ მორიგ სხდომაზე დაადგინა კავშირიდან გააგდოს ლევ კატანსკი, რომელიც კავშირის სხვადასხვა ქალაქების განყოფილებებში თავმჯდომარეობის თანამდებობას ასრულებდა. უკანასკნელ დროს კატანსკი უმთ. საბჭოს მდივნათ და «რუსსკოე ზნამიას“ თანამშრომლათ იყო... კატანსკის ბრალდება ბევრი „ბოროტ-მოქმედების ჩადენა კავშირის საქმეებში...

**მწერალთა საზოგადოება.** პეტერბურგის ლიტერატორთა საზოგადოებამ განიხილა საკითხი მწერალთა პროფესიონალურ ორგანიზაციის დაარსების შესახებ. კრებამ ერთხმათ მიიღო „სრულიად რუსეთის მწერალთა საზოგადოების“ წესდება. ამ წესდების თანახმათ საზოგადოებას მიზნათ ექნება შეაკავშიროს მწერლები ლიტერატურულ ინტერესების ნიადაგზე, დაიცვას ნივთიერი და ზნეობრივი ინტერესები წევრებისა, ხელი შეუწყოს ლიტერატურის განვითარებას და აყვავებას და იზრუნოს ლიტერატურის უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. საზოგადოების წევრობა შეუძლიათ ლიტერატურის და პერიოდულ გამოცემის მოღვაწეებს. საწევრო გადასახადი—5 მან. წლიურათ და—50 მან. ერთდროულათ.

**სამშობლო ენაზე სწავლება.** „ინოროდცების“ სკოლების დებულების შესამუშავებლათ შემდგარმა თათბირმა განიხილა სამშობლო ენაზე სწავლების პროექტი. თათბირმა დაადგინა: სამშობლო ენაზე სწავლება შემოღებულ იქნას ვისლის და ბალტიის მხრის გუბერნიებში და აგრეთვე ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გუბერნიებშიც.

**მარკოვ-პურიშკევიჩი.** მარკოვმა ს. დ. და „ტრუდოვიკებს“ გულახდილათ განუცხადა: უფლება და ძალა რომ ჩემ ხელში იყოს, გარწმუნებთ, რომ რუსეთში თქვენი სახსენებელსაც კი მოვსპობდიო. რუსთა საკრებულოში-კი ამაყათ განაცხადა: მზათა ვარ „პოგრომში“ მონაწილეობის მისაღებათ, თუ როდისმე ვეღირსე მის დაწყებასო.

პურიშკევიჩმა სხვა სპეციალური მოღვაწეობა აირჩია. ის ზამისლოვსკისთან ერთათ დანოსობა-ჯაშუშობას აწყობს უმაღლეს სასწავლებლებში. მიზნის მისაღწევათ მიხაილ მთავარ-ანგელოზის განყოფილება აარსებს სასწავლებლებში აკადემიურ კავშირებს. პურიშკევიჩის სიტყვით, სტუდენტი—კავშირისტები ტყობილობენ: რამდენი ებრაელი სწავლობს ამა თუ იმ სასწავლებელში, რამდენ „პოსობიეს“ იღებენ, თვალ-ყურს ადევნებენ „კრამოლნიკ“ ამხანაგებს და მათი მოქმედების შესახებ დაწვრილებით მოხსენებას უკეთებენ მიხ. მთ. ანგელოზის პალატას და პურიშკევიჩს. პურიშკევიჩი თავისი მხრით შეკითხებით და დანოსებით მოსვენებას არ აძლევს სამოსწავლო მთავრობას და სათანადო დაწესებულებებს. პურიშკევიჩის აზრით მოსწავლეთა შორის გახშირებული თავის მოკვლა აშკარათ მოწმობს, რომ მათში რევოლიუციონური ცეცხლი შესამჩნევათ განელდა. მიუხედავათ ამისა, საშიშარი ელემენტები კიდევ მოიპოვებიან თურმე უნივერსიტეტში და პურიშკევიჩი მოთმინებიდან გამოდის, რომ ისინიც ამდენ ხანს თავს არ იკლავენ. პურიშკევიჩი ასეთ სტუდენტებზე

---

... დროს, თხოულობდა რეაქციონერების გაშვებას. კონსულმა მოსთხოვა რევოლიუციონერებს ხელი არ ეხლოთ საკონსულოდან გაშვებულ რეაქციონერებისთვის, რადგანაც ყველა საკონსულოდან გაშვებული და საკონსულოში მჯდომი რეაქციონერი რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. უკანასკნელ შემთხვევაში კონსული ჯარის მოწვევით იმუქრებოდა რევოლიუციონერებს.

ხიჯათის ასაცდენათ გაუშვეს თეირანში მრავალი რეაქციონერები და 30 ყაზახი-პარსელი, რომლებიც მაინც გაჩერდნენ და 240 პატრონი წაართვეს.

10 თებერვალს რუდბარდში მყოფ რაზმს მიემატა 60 გლეხ-კაცი კაჟიანი თოფით შეიარაღებულნი (გილანელები) და 12-მდე კავკასიელი ერთი ზარბაზნით პანოვი, რომელიც ამ დროს შტაბი ბატონ-პატრონი გამხდარიყო, ამ ხალხის (გილანელების) გამოჩენაზე ისეთ რიგებს იწერებოდა, რომ ნაკითხვამიდი სიცილ-ხარხარი და ლაზღანდარა გამოიწვია რაზმში. რაზმმა, რასაკვირველია, შესაფერი პასუხი გაუგზავნა ანოვს.

პასუხი სასტიკი იყო, მარა ეს გამოიწვია იმ, რომ პანოვი პირველათ შეტევაზე ავანტიურისტი იყო და მეორე, რომ ასზე რეშტიდან შემაძრწუნებელი ამბებ მოდიოდა, მაგრამ ანუ შეშინდა.

30 თებერვალს რაზმს ეწვია ერთით ცნობილი მუიზახ სულთანი (სარ-მუი) და ყველა დამსწრეთ უამბო რა ხდებოდა რეშტში და რას აკეთებდა პანოვი თავისი საყვარელ ოჩეთ, რამაც რაზმელები ძალზე ააღელვა. თებერვალს პანოვის საქციელით აღშფოთებულმა ორმა, გათენების რაზმში ჩუმათ რეშტში წავიდა, ვითომდა პანოვთან ანგარიშის გასასწორებლათ. 15 თებერვალს, საღამოს სამი საათი იქნებოდა, რომ რაზმთან მოიჭრა რუდბარელი ხანი და აცნობა რომ—ჯარი მოდისო. ყველა დაფაცურდა, შეიარაღდა და ნახევარ საათში ყველა მზათ იყო დახვედროდა მტერს. მზვერავი ჯგუფი გაიგზავნა მენატილის ხიდისაკენ. დანარჩენები დაიყვენ პატარ-პატარა ჯგუფებათ და საფრებისაკენ გაექანენ. გილანელები კი, როდესაც სხვები საფრებისაკენ იწევდენ, გაპარვას ლამობდენ, მაგრამ ყაზახური მათრახით და მოღერებული თოფებით კავკასიელები საფრებისაკენ მიერეკებოდენ მათ. ბოლო საფარში, საიდანაც მტერი უნდა შემოსულიყო და საიდანაც პირველი ყუმბარა უნდა გავარდნილიყო ჩასხდენ საუკეთესო მებრძოლნი ქართველები. შუაში დროშაკელები და 25 სპარსელი ჩასვეს. გზაში—ათი საუკეთესო მებრძოლით გ. ს... და პეტრემ, რომლებიც წინ გამოქანებულ მტერზე იერიშით უნდა მისულიყვენ, როდესაც ბოლოში ყუმბარა იგრიალებდა.

გვერდზე, მთაში საფრებში ასვლა გილანელებს უჭირდებოდათ და კლდეებში გორდებოდენ, კავკასიელნი ძალით მიათრევდენ საფრებისაკენ.

4 საათზე ყველა მზათ არის. ყუმბარის მსროლელები ერთმანეთს ნიშანს სთხოვენ, თოფის მსროლელი რაზმი აზრით ნიშანს იღებს. 5 საათზე დამზვერავი ცხენოსანი ჯგუფი დაბრუნდა და აცნობა რაზმს—ჯარი არსად სჩანსო. ამ სიტყვების გაგონებაზე ყველამ მოიწყინა, ყველა ილანძღება. რაზმმა მაინც ღამის გატარება მტრის მოლოდინში საფრებში არჩია მეორე დღემდე.

გურჯი სერგო.

(შემდეგი იქნება.)

სახ. განათლების სამინისტროს და პოლიციის დეპარტამენტის ყურადღება მიაქციეს, ილლეხ სტუდენტების ნიშნებს, რომლებიც მათ დაახასიათებენ, ასახელებს მათ გვარებს და გაკვირვებას გამოითქვამენ იმის შესახებ, რომ ისინი ჯერაც განდევნილნი არ არიან უნივერსიტეტიდან.

**ფრანგ პარლამენტარები პეტერბურგში.** ფრანგ სტუმრების პატივსაცემლად პეტერბურგში, მარიინსკის თეატრში, გამართეს წარმოდგენა. ჯერ კიდევ წარმოდგენის დაწყებამდე ბილეთების ფასი მეტად გაძვირდა: ხელიდან ბილეთებს 100 მანეთადე, ბენუარები—300 მან. იყიდებოდა, პარტერი—200 მანეთად. თეატრი გაჭედილი იყო უმაღლესი წრის წარმომადგენლებით. წარმოდგენას დაესწრნენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ა. სტოლიპინი, სახ. საბჭოს თავმჯ. აკიმოვი, სახ. დუმ. თავმჯდომარე ხომიაკოვი, მინისტრები: მეფის სასახლის, იუსტიციის, ფინანსთა, გარეშე საქმეთა და კანონების ხელმწიფე, დიპლომატიური კორპუსის მთელი შემადგენლობა, ბრწყინვალე თავადები და სხვა. თეატრის დირექტორის ლოჟაში ისხდნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები. პირველი ანტრაქტის დროს საფრანგეთის დეპუტატების მოთხოვნით ორჯერ შესრულებულ იქნა რუსის ჰიმნი. შემდეგ მოედგა „მარსელიეზა“. მასხარობის გათავების შემდეგ გაისმა: „ურა და „ვივე ლაფრანს“! (გაუმარჯოს საფრანგეთს).

„გოლოს მოსკვის“ სიტყვით სპექტაკლმა წმინდა შემოსავალი დასტოვა 20,000 მანეთი. ეს ფული გადაეცემა პარიზში წყალდიდობის დროს დაზარალებულთ.

**ს. დ. ფრაქციის მილოცვა.** სახელმწიფო დუმის სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ მილოცვის დეპეშა გაუგზავნა ავგუსტ ბებელს დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო.

**ფრანგი სტუმრები დუმაში.** საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები სხვათა შორის მიიწვიეს სახელმწიფო დუმაში. დუმაში სტუმრებს დახვდათ დიდძალი დეპუტატები, გარდა სოციალდემოკრატიულ და ტრუდოვიკების ფრაქციების დეპუტატებისა, რომელნიც სტუმრების შეხვედრაში მონაწილეობას არ ღებულობდენ. სტუმრების შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვეს აგრეთვე მემარჯვენეებმა, მაგრამ მათ ცნობის მოყვარეობამ მაინც წასძლიათ და ფრანგ სტუმრებს თურმე დუმის ქანდარებზე მიმალულნი უყურებდენ.

**პინკერტოვშჩინასთან ბრძოლა.** რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობა ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ძალიან ეტანება ისეთ წიგნაკებს, რომელშიაც აწერილია პინკერტონის და სხვა მის თანამსგავს პოლიციელთა მოღვაწეობა. ამ გარემოებამ ძალიან ცუდი გავლენა იქონია მოსწავლეებზე, რის მაგალითებსაც ყოველ-დღე ვკითხულობთ გაზეთებში. ამის გამო კიევის „მშობელთა კომიტეტმა“ გუბერნატორს შუამდგომლობით მიმართა, რომ სავალდებულო დადგენილების გამოცემით ზემოაღნიშნული შინაარსის წინგნაკების გაყიდვა აკრძალოს.

**პეტ. უნივერსიტეტის სტუდენტობა.** უნივერსიტეტის ანგარიშების თანახმათ ამ ჟამათ პეტ. უნივერსიტეტში ირიცხება 10,000-მდე სტუდენტი, მათ რიცხვში 200 თავისუფალი მსმენელი. ყველაზე მეტი სტუდენტები ყოფილა იურიდიულ ფაკულტეტზე, ყველაზე მცირე რიცხვი—აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე.

სტუდენტებში ჭარბობენ აზნაურების და მოხელეების შვილები—ესენი შეადგენენ სტუდენ.—50%, მოქალაქეთა შვილ.—20%, გლეხების—10% და სასულიერო წოდების—5%.

# პროვინცია

**სოფ. წოლა (გურია).** შარშანდელმა მოუსავლობამ ისედაც უკიდურესობამდის მისული ხალხი მთლად მიწასთან გაასწორა. ერთად ერთი იმედი ჩვენი ხალხისათვის იყო სიმინდი, იმით აპირობდენ ულევლივე ხარჯების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მარა, სამწუხაროთ, ჩვენდა გადასახადების დაკმაყოფილება კი არა, ნახევარი წლის სარჩოც არ მოგვსვლია. მოუხედავათ ამისა, გადასახადების მოთხოვნილების დროს ისევ სიმინდს მიაშურეს, დაცეხვეს და ნახევარ ფასათ ჩაუყარეს ხელში აჭაურ ვაჭრუკანებს. ეხლა ბევრია ისეთები, რომ სიმინდი აღარ აქვთ. ღვინომ ხომ მთლათ აგვაღო ხელი, საზიარებლათ რომ გინდოდეს ვერ იშოვი. ვაზები ნახევარზე მეტი გამხმარია, რადგანაც მაღლარმა ვენახებმა აღარ ივარგეს, ისევ დაბალი ვენახების მოშენებას მიჰყვეს ხელი. ამ დრომდის თითო-ოროლა პირს ქონდა გაკეთებული ცოტ-ცოტა საშინჯათ, ეხლა არაა ისეთი მოსახლე, რომ მიწას არ აბრუნებდეს დამენილი ვაზების გასაშენებლათ. მარა შესძლებს ათასჯერ ტყავგამძვრალი ხალხი ნამყენი ვაზების ყიდვას და დარგვას? ვეჭვობ, რადგანაც ხალხი ქონებრივათ ძრიელ დაცემულია და არც არის ისეთი მოსახლე, რომ ვისიმე ვალი არ ქონდეს. საყანე მიწები აქ არავის საყოფი არა აქვს და სხვის ადგილებში მიდიან ათა-თორმეტი ვერსის მანძილზე, იღებენ იჯარით ან სანაწილოთ.

აქ არსებობს ერთი კერძო ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი. მასწავლებლათ არის მღვ. ვლადიმერ კანდელაკი. მას აქვს თავის სახლში გაღებული სასწავლებელი და თვითეული მოსწავლე წელიწადში იხდის სამ მანეთს, თუმცა ჩვენ გვაქვს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი სოფელ საჯავახოში, მარა სიშორის და სიღარიბის გამო იძულებული ვხდებით პირველ სამ წელიწადს აქ ვიყოლიოთ ყმაწვილები, მაგრამ ეს ნახევრათ ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას. ამ რამდენიმე წლის წინათ მღ. ვლ. კანდელაკმა განიზრახა სოფ. წოლაში დაეარსებია თავისი ინიციატივით ერთი ერთ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი და შუამდგომლობაც აღძრა, სადაც ჯერ არს და იქიდან მიიღო ხუთასი მანეთი დახმარება, მივიდა და ხალხს გამოუცხადა, მე მსურს აქ დავაარსო ერთ კლასიანი სამრევლო სასწავლებელიო და ამ დანიშნულებისათვის ხუთასი მანეთი უკვე მივიღეო, მარა ხუთასი მანეთი არ ყოფნის უკეთესის მოწყობას და უნდა ცოტა მიწა ვიყიდოთ, ძველი ეკლესია რომ გვაქვს ის გადმოვიტანოთ და გადავაკეთოთ სკოლათო, მაგრამ ხალხმა უარი უთხრა: ერთი კაპეიკის გაღება არ შეგვიძლიაო. რადგანაც უარი მიიღო, მღვდელმა ის ფულები უკან დააბრუნა. კარგი კი იქნებოდა, რომ მოენდომებიათ და როგორც იქნებოდა ეს საქმე მოეწყოთ, თუმცა სამრევლო სასწავლებელს რა ნაყოფი უნდა გამოეღო, მარა შეიძლებოდა შემდეგ სამინისტრო სასწავლებლათ გადაეკეთებიათ. კულტურულათ ხომ მთლათ ჩამორჩენილი არიან. აქ არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო არსებობს და არც გაზეთი მოდის ვინმეს. ბიბლიოთეკა-სამკითხველო აქ კი უნდა არსებობდეს, რომ იყოს ვინმე ისეთი ქველ-მოქმედი ადამიანი ხალხის გულშემატკივარი და ითავებდეს ამ საქმის მოწყობას, რადგანაც მშვენიერი ადგილია მდებარეობით, თუმცა სადა აქვთ ფული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აგებისათვის ათასჯერ ტყავ გამძვრალ ხალხს, მარა ამ საქმისათვის არ დაიშურებენ უკანასკნელ გროშს, რომ ვინმე ითავებდეს და გადმა-გამოღმა ნოღას შუა ადგილზე დაარსებდეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რაც დიდ ნაყოფს მოუტანს ხალხს და მათ გონებრივ ამაღლებას ხელს შეუწყობს.

სოფელ ნოღიდან გზა მიდის ქვევით, რომელიც ერთვის ნიგოითის გზას და გულიკარ-საჯავახოს გზასაც. ამ ქვევით არის სამი საზოგადოების საყანეები და მეოთხე საზოგადოების რამოდენიმე სოფლის—სახელდ., 1) ნანეიშვილის, 2) ზემოხეთის, 3) აბაშის და მე 4 გულეიკარის საზოგადოების. წინათ გზა გადიოდა წყალ-წყალ და წყალში ათ ადგილზე უხდებოდათ გასვლა (წყალს სახელათ ხევის წყალი ქვია) ურმით არ შეიძლებოდა ამ წყალზე შემორება და ქვეითად კი დადიოდენ წლის ნაპირზე სახევითო გზით, 1895 წელში ვიღაცეებმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა მას მიექცია ყურადღება და ეს გზა გაეყვანა კიდეც. მართლაც, მთავრობამ მიაქცია ყურადღება და გამოგზავნა ინჟინერი. გაიყვანეს პლანი და დაავალეს ამ ოთხ საზოგადოებას გასაკეთებლათ გზა და შეუდგენ მუშაობას. ერთი კვირის განმავლობაში მშვენიერი გზა გაიყვანეს და ურმების მიმოსვლაც დაიწყო იქ, სადაც წინათ ცხენით მგზავრობაც საშიში იყო. მაგრამ განვლო დრომ ეს გაკეთებული გზა გაფუჭდა და იძულებული გახდენ ისევ წყლით ევლოთ. მდინარემ უცებ გადიდება იცის და მსხვერპლიც ბევრი შეეწირავს შარშან როველზე, როდესაც სიმინდი მოქონდათ ურმებით ხშირათ დარჩენილან შუა მდინარეში მეურმეები ხარ-ურმებით და მეწუხარებით და შიშით გაუთენებიათ მთელი ღამე, ვერც იქით გასულა და ვერც აქეთ. ბევრი კინაღამ დაიღრჩო. ასეთი შემთხვევა, მოსალოდნელია კიდევ მომავალში და რომ ეს არ მოხთეს, და რომ საფრთხე თავიდან ავიშოროთ, ეხლავე უნდა ვითავოთ ამ გზის შეკეთება ხსენებულმა ოთხმა საზოგადოებამ და თუ ვინიცობაა, ამ ზამთარში ვერ მოვასწრებთ, ზაფხულში მაინც გავაკეთოთ და თავიდან ავიშოროთ მომავალი შიში-დავიდარაბა, თორემ მოსალოდნელია შარშანდელი ამბავის განმეორება.

ვახუ.

# მუშათა შორის

**მკერავ მუშათა შორის.** ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში რაც დღე გადის, მკერვალთა მდგომარეობა ცუდ ხასიათს ღებულობს, უფლებებს ართმევენ, მათ პირობებს ფეხ-ქვეშ თელავენ. სხვებზე უფრო ამ მხრით თავი ისახელა სილიბისტრო კვაჭაძემ. დღეს ის ფრიად ხერხიანათ და გამოცდილებით იქცევა. ის თითქო მამაშვილურათ ექცევა მუშებს და ამით ხიბლავს მათ, ნამდვილათ კი, უბრალო მიზეზია საჭირო, რომ ქუჩაში გამოუძახოს.

აი მაგალითები: 1909 წელში დაითხოვა ხუთი მუშა და სათითაოდ უვალას აუხსნა დათხოვნის მიზეზი: პირველს, შენ თვალები გაფუჭებული გაქვს, დაბერდი და აღარ შეგიძლია მუშაობაო. ეს მუშა მასთან მუშაობდა 26 წელიწადს და ეხლა, როცა დაკარგა ძალღონე, თვალის სინათლე, ქუჩაში გამოაგდო მეორეს უთხრა: შენ ავათ ხდებოდი შარშან და მე ავათმყოფი მუშები არ მინდაო.. მესამეს—შენ სუსტი ხარ და დასვენება გინდაო. მეოთხეს—შენ ნელა მუშაობა და სხვა.

პატარა სამ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! გაზ. „ახალი სხივის“ პირველ ნ-ში სადგურ მცხეთიდან მოთავსებული იყო დ.—ლი-ს კორესპონდენცია, რითაც კორ—ტი სხვათა შორის იუწყებოდა მცხეთის მწერლის მიერ ჩადენილ უმართებულო საქციელს. ამავე გაზეთის მე-5 ნ-ში მწერალ ბუხარაძესაც მოუთავსებია თავისი „სიმართლის“ აღსადგენი შენიშვნა. რადგან მწერლის მიერ „აღდგენილი სიმართლე“ კორესპონდენტის მოყვდილ ცნობას უკუღმა აყენებს და „ინციდენტის“ გამომწვევ მიზეზათ მე მასახელებს, ამიტომ გთხოვთ უმორჩილესად თქვენი პატივცემული გაზეთის ახლობელ ნ—ში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს პატარა წერილს.

დავიწყებ იქიდან, რომ ბუხარაძის მიერ მოხერხებულ-შეთხზულია და შეიცავს მტკნარ სიცრუეს, ჩემზე კი დაუმსახურებელ ცილის წამებას: შემდეგი მისი სიტყვები—„ვიზეძაც გიწვევთ შეავალე ხართ გაჩხრეკოთ-დააპატიმროთ“. არც მე და არც შავლაძეს არავისთვის ხელი არ დაგვიდვია ქერდობაში, ჩვენ მხოლოდ გიახელით ბ. მიხეილ თქვენივე წინადადებით, რომ დაკარგული ნივთები გამოგვეცნო. ორი ბინის გაჩხრეკის შემდეგ, თქვენ მარტო იცისრეთ სხვა თქვენ მიერ შენიშნული ბინების გაჩხრეკა „დარაჯებთან“ ერთათ, მამასახლისი თქვენთან არ ყოფილა,—საქმე იქამდი არ მისულა თავში დამეჭრასო,—ბრძანებთ. არც ეს არის მართალი. ვის გსურთ აუხვიოთ თვალები? თქვენი საქციელის მოწამე ხომ სხვებიც იყვნენ.—ბინაზე თუ არ გამოჩნდებოდა დაკარგული ნივთები, პასუხის მგებელი იქნებოდენ ტყუილი ცნობის მომწოდისთვის და ოქმზე ხელის მოწერა მოგვსთხოვეთ,—ბრძანებთ. როდის იყო ეს? ვინ მოგითითათ რომელიმე თქვენ მიერ გაჩხრეკილ ბინაზე? შეიძლება ჩემი დაჭრის ნამდვილი მიზეზი, რომ აქავე აღვნიშნო, მაშინაც არ გაწითლდეთ, ან განა შეიძლებოდა ოქმზე ყოფილიყო ლაპარაკი ტყეში, დამის 12 საათზე, სადაც თქვენ თავხედურათ ცემა დამიწყეთ? თქვენ არც ოთახის გატეხა გეჯერათ და ბრძანებთ „ვითომდ“. რაც შეეხება ცემის გვერდის ახვევას, ეს განა პირველია თქვენგნით ბ. მიხეილ?

მოიგონეთ თუნდ—გოზმანაშვილება, გარსევანოვები, სამხარაძეები და სხვანი, რომლებმაც თქვენგან ჩემი ბედი გამოსცადეს.—ჩემს სიმართლეს გამოძიებაც დაამტკიცებსო,—ბრძანებთ. ძალიან კარგი, ბ. მიხეილ! მაგრამ რაზე შეიწუხეთ თავი და თქვენ მიერ ფიზიკური ძალით შეურაცხყოფილის გამოძიებამდი ახალი, ჩემ მიერ დაუმსახურებელი ბრალდება მომახვიეთ თავზე!

მცხეთის მესამე კლ. ბუფეტჩიკი

ივანე გეგეჭკორი.

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს ჩვენი ახლად გახსნილი ღარიბ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის თავიანთი წვლილი და ფულით თუ წიგნებით დახმარება აღმოგვიჩინეს. აი მათი სია: ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებამ 20 მ. წიგნები., 2) ნ. კარა-მუზამ 40 მ. წიგ., 3) რუბენ არუტინოვმა 23 მ. 27 კ. (სომხ. წიგნები)., 4) რომვალდ განსევსკი 5 მ. პოლონური წიგ., 5) რჩეული წიგნები პ. გელეიშვილმა 8 მ. 3 კ. ღირებული., 6) მარია ივ. ასულმა ლაბაურმა 5 მ. წიგ., 7) ლ. ბოცვაძემ ერთი წლის ჟურნ. «განათლების» ნომრები., 8) მარიამ ივ. ასული ნაზარბეკოვისამ 2 მ. სომხ. წიგ., 9) ს. სანიკიძემ ფულათ 1 მ., 10) ივ. ნიკ. კოვალიოვმა სამი წლის «ნივა»., 11) ალ. სალარეიშვილმა 2 მ. 80 კ. წიგნები., 12) ნიკო ვასილ. ოკუჯავამ 9 მ. 75 კ. წიგ., 13) რ. ზ. გოგიტაშვილმა 4 მ. წიგ., 14) ნ. ბეჟუაშვილმა 4 მ., 15) ივ. ავსაჯანოვმა 2 მ. 50 კ. წიგ., 16) ლ. თურქესტანოვმა ერთი წლის „ცნობის ფურცლის“ და „შრომის“ დამატებები.

დიდუბის ბიბლ.-სამკითხველოს გამგე:

ალალო თუთაევი.

ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

თფილისიდან გადის

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

თფილისში მოდის

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ. ღამის; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

თფილისიდან გადის

**მიხაილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3 ს. 23 წ. დღით.

თფილისში მოდის

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

ყარსის გზაზე

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/7.. ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო-საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ვა-გონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან 4 ს. 48 წ. ღამით.

# კბილის

სამკურნალო კაბინეტი

# იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებს“-ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექიმო სკოლის გვერდით. (100—19)

# ჟურნალების

«სხივი»-ს „თეატრი და ცხოვრება“-ს და „საქართველოს მოამბე“-სათვის საჭიროა აგენტები: გორში მიხაილოვში, შორაპანში, ჭიათურაში, ყვირილაში, რიონში, სამტრედიაში, ფოთში, ახალ-სენაკში, ნიგოითში, ლანჩხუთში, ბათუმში, ოზურგეთში, განჯაში, გუმბრში, აჯიკაბულში, ბალაჯარაში, ბაქოში და სხვაგან.

მსურველებმა შეგვატყობინონ დაუყონებლივ შემდეგი ადრესით: Тифлисъ типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская ул. № 6 Поліевкту Антоновичу Каландадзе.

ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობრის

მაღაზია

# კ. ა. მაჭარაძისა და კ. ა. ჭეიშვილის

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ქურები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—33)

# მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

13 დეკემბრიდან თფილისში გამოდის ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# „ს ხ ი ვ ი“

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი, ლექსებ კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი, ახოსპირელი, გელა, გომართელი, იასამანი, ირეთელი, ლალიონი, ლეო, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ნიკოლაიშვილი, რაჟდენიძე, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან იბეჭდება ივ. გომართელის კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით 5 მ., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., ერთი თვით 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ., ვინც ამ თავიდან გამოიწერს და თებერვლის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს, პირველ პრემიათ მიეცემა—სტეპენიაკის მოთხრობა „**ახალი ვოლგის ნაპირზე**“ მეორე პრემიათ ირეთელის ახალი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს. ამასთანავე დეკემბრის ნომრებიც უფასოთ გაეგზავნება. მეორე—აგვისტოს დამლევს.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. «მომავალი»-ს რედაქციაში: ვ. ბლანდაძესთან; წიგნის მაღაზია «ალიონში» ვ. გადილიასთან, კიროჩნი ქუჩა № 9; სტამბა «პეჩატნოე დელო»-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

ქ ა ლ ა ქ გ ა რ ე თ ქუთაისში: წიგნის მაღაზია „იმერეთში“, ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში მასწ. რკ. გზის შკ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში რკ. გზ. შკოლში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში მასწ. ვ. ხუროძესთან; ჩოხატაურში წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ხიდისთავში მასწ. ე. ლომთათიძესთან; სადგურ აჯიკაბულში ვ. ყიფიანთან და რკ. გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Печатное Дѣло“, Вельяминовская № 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе.